ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #59

2021 წელი 1 დეკემბერი 14 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ა.ხუჯაძე, ლ.დარახველიძე
ქ.ჯოხაძე, ი.ჯიშკარიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიში

მოისმინეს:

ქ. თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ ლევან არველაძემ კომისიის მიერ ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა.

ლევან არველაძემ კომისიის მიერ ჩატარებული სხდომების და ამ სხდომებზე განხილული საკითხების შესახებ დეტალურად ისაუბრა.

2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 1 დეკემბრამდე ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 15 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი 21 სხვადასხვა საკითხი: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 და 2020 წლის ბიუჯეტების პროექტები, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურიდან მოწოდებული პროექტები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ.

ამასთან, აღსანიშნავია კომისიის მიერ განხილული და საკრებულოს სხდომებზე წარდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურთან ერთად შემუშავებული და ინიცირებული ის პროექტები და ღონისძიებები, ასევე ამ პროექტების განხორციელებით უკვე მიღწეული თუ მოსალოდნელი შედეგები:

1. **თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესწავლა.** კვლევის შესყიდვით მივიღებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი თითოეული რაიონის და უბნის ძველი აშენებული და ახალაშენებული უძრავი ქონების ტრანზაქციების რაოდენობას და საშუალო შეწონილ ფასს.
2. **ტურისტული ბილიკების მარკირება (2 ტურისტული ბილიკის მარკირება) და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების მონიშვნა და ინფრასტრუქტურის მოწყობა უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით: უძოს მონასტერი - კუს ტბა, ბეთანიის მონასტერი - ბეთანიის აგარაკები.

   უძო - კუს ტბის მარშრუტზე დამონტაჟდა 11 ბოძი (ადგილის ნიშნით), 10 ერთწარწერიანი და 9 ორწარწერიანი მანიშნებელი, 2 ცალმხრივი და 2 ორმხრივი საინფორმაციო დაფა, ბავშვებისთვის განკუთვნილი სამი ორმხრივი საინფორმაციო დაფა, 1 ფანჩატური, ცეცხლის დასანთები ადგილი დასაჯდომით.

ბეთანიის მონასტერი - ბეთანიის აგარაკების მარშრუტზე 6 ბოძი (ადგილის ნიშნით), 10 ერთწარწერიანი და 4 ორწარწერიანი მანიშნებელი, ცეცხლის დასანთები ადგილი.

3. ,,ქალაქ თბილისში, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით, რიგი ღონისძიებების განხორციელება. სამსახურს დაევალა ცენტრ პოინტ ჯგუფის დაუსრულებელი მშენებლობების წარმოებისთვის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის აღსრულების კონტროლი და აღნიშნულის აღსრულების პროცესში წარმოშობილი საპროცედურო საკითების წარმოება
4. თბილისისი ტურისტული პრომოუშენი - მიმდინარეობს მოლაპარაკებები მსოფლიოში ცნობილ ინფლუენსერებთან, ჟურნალისტებთან, ბლოგერებთან თბილისში ინფო ტურის ორგანიზების შესახებ. შედეგად თბილისის შესახებ პოსტები განთავსდება სოციალურ ქსელება და საერთაშორისო მედიაში.
5. თბილისის შესახებ სტატიების საერთაშორისო მედიაში განთავსება - მიმდინარეობს პირდაპირი შესყიდვის დოკუმენტაციი მომზადება, შედეგად თბილისის შესახებ სტატიები განთავსდება National Geographic, Wanderlust, საპრომოციო დოკუმენტურ ვიდეოს კი დაამზადებს Globetrotter Show ჯგუფი (განთავსდება amazon prime, sky).

6. ადგილობრივი ადამიანური რესურსების განვითარება - მიმდინარეობს სასწავლო პროგრამების, სემინარების შემუშავება რამდენიმე მიმართულებით (მათ შორის ტურისტული უსაფრთხოება, ეფექტური გაყიდვები, სოციალური მედიის გამოყენება, ელ. კომერცია და ა.შ.)

7. თბილისის საინვესტიციო პროექტების და ბიზნეს გარემოს ხელშეწყობისთვის Start up Grind და Amcham -თან ერთად მიმდინარეობს მსოფლიოს ცნობილი და გავლენიანი ტექინვესტორების და ინფლუენსერების ინფო ტურების დაგეგმვა.

კომისიაზე განხილული იქნა, აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე,

განხილული იქნა, აგრეთვე, საკითხი ქ.თბილისში, „დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ .

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონა ვირუსის -„COVID 19“-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით, პანდემიაზე შესაბამისი რეაგირებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარება-ხელშეწყობის მიზნით, დედაქალაქის საკუთრებაში არსებული ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ განხორციელდა ხელშემწყობი ღონისძიებები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიებები ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობისთვის. სულ ამ ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ჯამური რაოდენობა 4,2 მილიონი ლარია. აქედან:

- 1,895,000 ლარი -- 362 რესტორანი
- 315,000 ლარი -- 62 ბავშვთა გასართობი ცენტრი

ელექტრონული მუსიკის წარმომადგენლების და კლუბებისათვის გამოყოფილი თანხაა 1,703,679 ლარი:

- 541 ფიზიკური პირი -- 713,600 ლარი
- 63 იურიდიული პირი -- 990,079 ლარი

კომისიის მიერ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში“, შესაძლებლობის ფარგლებში, გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამისათვის - ბიზნესის სტიმულირება გათვალისწინებულია 385,0 ათასი ლარი, რაც 2021 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტთან - 1614,4 ათასი ლარი და დამტკიცებულ გეგმასთან - 1256,0 ათას ლართან, შედარებით მნიშვნელოვნად არის შემცირებული. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შესაძლებლობის ფარგლებში გაიზარდოს ბიზნესის სტიმულირების პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები, ვინაიდან პროგრამის ფარგლებში მომავალი წლისათვის იგეგმება მრავალი მნიშვლელოვანი ღონისძიების განხორციელება, კერძოდ, თბილისში

რეგისტრირებული ან მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის ხელშეწყობა, გამოფენა-გაყიდვა „თბილისური ბაზარის“-ის მოწყობა, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმის ჩატარება, ქ. თბილისში რეგისტრირებული მცირე მეწარმეების ხელშეწყობის მიზნით წლის განმავლობაში ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე ღონისძიების „დააგემოვნე თბილისის ქუჩებში“ მოწყობა და სხვა.

წარმოდგენილი პროექტით პროგრამისათვის - თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები გათვალისწინებულია 250,0 ათასი ლარი; თბილისის ეკონომიკური პოტენციალის სრულფასოვანი შესწავლის მიზნით ეკონომიკის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ იგეგმება კვლევების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვას ქალაქის მასშტაბით, ასევე ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ პროგრამის ასგნებების გაზრდა.

ამასთან, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის რეკომენდაცია იქნება ქალაქ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ტურისრული მოსაკრებელი, რაც დამატებითი შემოსავალი იქნება ქალაქისათვის.

კომისიის წევრებმა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ გაწეული საქმიანობა დადებითად შეაფასეს.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე